გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 120

2025 წლის 12 სექტემბერი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2024 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიში შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში, რომლის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2024 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2024 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 3 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

saqarTvelo
a(a)ip ```goris municipalitetis
`****`sazogadoebrivi jandacvis centri~

ს/კ 218081590

GEORGIA
N.I.P. ''THE CENTRE CARE OF PUBLIC HEALTH OF GORI MUNICIPALITY''

1400 gori stalinis q. #2
tel 0(370) 27-46-84, 27-46-85.
el. fosta Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

70 25 აგვისტო, 2025 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ დავით რაზმაძეს

თქვენი წერილის (21-21252231, 11/08/2025) პასუხად, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ წარმოგიდგენთ 2024 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინსანსურ ანგარიშს.

დანართი 2 ფურცლად.

პატივისცემით,
ა.(ა).ი.პ. ,,გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''ს
დირექტორი: მ.გიუნაშვილი

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს
2024 წლის სექტემბრის თვიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს 2024 წლის მიზნობრივი ტრანსფერით გამოყოფილი ჰქონდა 318900 ლარი. გასული წლის საანგარიშგებო პერიოდში (IX-XII თვ.) ცენტრში, ჯანდაცვითი პროგრამების შესრულების მიზნით, დასაქმებული იყო სულ 19 თანამშრომელი (15 - შტატით, მათ შორის ერთი თანამშრომელი სეზონური - 6 თვით და 4 - შტატგარეშე თანამშრომელი). აღნიშნულ პერიოდში ბიუჯეტიდან მიღებული 144 189.43 ლარის ხარჯვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით განხორციელდა შემდეგნაირად:

- შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება სულ - 99 038.85 ლარი, (მ.შ. 14 938.35 ლარი წარმოადგენს თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით გაცემულ პრემიას).
- შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 8 527.70 ლარი;
- სამივლინებო თანხა ქვეყნის შიგნით - 180 ლარი;
- ოფისის ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) 2 231.69 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 2 227.74 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - 300 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 4 283.45 ლარი .
- არაფინანსური აქტივები (კაპიტალური ხარჯი) - 27 400 ლარი (2024 წლის დეკემბრის თვეში ჯანდაცვის ცენტრის საჭიროებისთვის, ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეძენილია III კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა - „FORD KUGA", ღირებულების 50 % გადახდილია საკუთარი შემოსულობებიდან).

2025 წელს ჯანდაცვის ცენტრში დამტკიცებული საშტატო ნუსხით განისაზღვრა 15 საშტატო ერთეული, მ.შ. ერთი - სეზონური. ცენრისთვის, დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად, გამოიყო მიზნობრივი ტრანსფერი - 343 500 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 13 000 ლარი, 2 შტატგარეშე თანამშრომლის შრომის ანაზღაურებისთვის.

მიმდინარე წლის საანგარიშგებო პერიოდში (I-VIII თვ.), საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ჯანდაცვითი პროგრამების შესრულების მიზნით, ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 214 609.41 ლარი, რაც კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ხარჯებში გადანაწილდა შემდეგნაირად:

- შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 197 881.20 ლარი (მ.შ. შტატით მომუშავე თანამშრომლებზე - 190 081.20 ლარი, ხოლო შტატგარეშე - 7 800 ლარი).
- სამივლინებო ხარჯი - 570 ლარი;
- საოფისე ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) - 8 805.90 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - 640 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 1 603.71 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 578.60 ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა (კაპიტალური ხარჯი) - 4 530 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, „იმუნიზაციის“, „ეპიდზედამხედველობის“, „ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამების მომსახურებისთვის, ასევე, „თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის და მოწევის აკრძალვა-შეზღუდვის მონიტორინგის“ განსახორციელებლად, რის საფუძველზეც, გარდა მიზნობრივი ტრანსფერით გამოყოფილი დაფინანსებისა, ჯანდაცვის ცენტრს 2024 წლის IX-XII თვეებში მიღებული აქვს 57 314 ლარი, ხოლო მიმდინარე წლის საანგარიშგებო პერიოდში - 18 353 ლარი.

საკუთარი შემოსულობებიდან მიღებული თანხები ხარჯვით ნაწილში აისახა შემდეგნაირად:

2024 წელი (IX-XII თვ.)

- შრომის ანაზღაურება - 13 498.40 ლარი, მ.შ. შტატით მომუშავეებზე 9 194 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეებზე - 4 304.40 ლარი
- მივლინება ქვეყნის შიგნით - 180 ლარი;
- ოფისის ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) 1 247.20 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - კაპიტალური ხარჯი - 2 8879 ლარი (27 400 ლარი გამოიყო ავტომანქანის და 1 479 ლარი - პროექტორის შესაძენად).

2025 წელი (I-VIII თვ.)

- შრომის ანაზღაურება - 15 871 ლარი, მ.შ. შტატით მომუშავეებზე 8 246 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეებზე - 7 625 ლარი
- ოფისის ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) 793 ლარი;
- მივლინება ქვეყნის შიგნით - 240 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 504.03 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 966.80 ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა (კაპიტალური ხარჯი) - 2 300 ლარი, საგრანტო პროექტის - „თამბაქოს კვამლისაგან თავისუფალი სახლების ინტერვენციის დანერგვა საქართველოსა და სომხეთში“, თანახმად მიღებული დაფინანსებიდან, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის მიზნით, სპორტული ინვენტარის შესაძენად.

ა.(ა).ი.პ. ,,გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი’’ს
დირექტორი: მ.გიუნაშვილი